ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1612448

ნომერი: AR1265880

თარიღი : 14.11.2014

გაცემის თარიღი : 25.11.2014

გაცნობის თარიღი : 26.11.2014

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ონიაშვილი , N 47 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- კირილე მორჩილაძე პ/ნ 01010006347
- თბილისი შ.ნუცუბიძის ფერდ მ/რ კორპ.5

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 24 ივნისის #1314402 ბრძანებაში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურს 2014 წლის 14 ნოემბერს #AR1265880 განცხადებით მომართა შ.პ.ს. ,,საინვესტიციო ჯგუფი პრაღა"–ს დირექტორმა სულხან ხუცაიძემ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2014 წლის 24 ივნისის #1314402 ბრძანებაში ცვლილებისა და დამატების შეტანა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის თანახმად, სამსახურმა შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 24 ივნისის #1314402 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, სექტორი – საბურთალო, ონიაშვილის ქუჩა, №47-ში, შპს "საინვესტიციო ჯგუფი პრაღა"–ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ს/კ:01.10.12.033.015), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.

განმცხადებლის განმარტების თანახმად, ბრძანებაში არასწორად არის დაფიქსირებული საერთო, საცხოვრებელი, საზაფხულო, ავტოსადგომის, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართის მაჩვენებლები.

სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შეცვლილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულ არქიტექტურულ ნახაზებს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები ფართების არასწორი დაჯამების გამო, რაც შემდგომ აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ამდენად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიაჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება აქტში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. დაკმაყოფილდეს შ.პ.ს. ,,საინვესტიციო ჯგუფი პრაღა"–ს დირექტორის სულხან ხუცაიძის 2014 წლის 14 ნოემბერს #AR1265880 განცხადება;
2. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 24 ივნისის #1314402 ბრძანებაში. კერძოდ, დაფიქსირდეს:
საერთო ფართობი – 1876.2 კვ.მ.
საცხოვრებელი ფართობი – 1265.8 კვ.მ.
საზაფხულო ფართობი – 136.5 კვ.მ.
კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი – 179.3 კვ.მ.
ავტოსადგომის ფართობი – 294.6 კვ.მ.
3. ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 24 ივნისის #1314402 ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის გეგმების (0.00; 3.30; 6.60; 9.90; 13.20; 16.50 და 19.80 ნიშნულები) PDF ფაილები შეიცვალოს წარმოდგენილი გეგმების (0.00; 3.30; 6.60; 9.90; 13.20; 16.50 და 19.80 ნიშნულები) PDF ფაილებით;
4. 2014 წლის 24 ივნისის #1314402 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი;
5. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 24 ივნისის #1314402 ბრძანებასთან ერთად.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მის: შარტავას ქ. #7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7

ტელ. [+995 32] 272 22 22
ფაქს. [+995 32] 237 82 24
Info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge